

21 / 3  
945

# ქტობრელი

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



1945 ივლისი

№ 6



საბჭოთა ჟურნალი  
მდიარეწლოვანთათვის

# ოქტომბრელი

## № 6

ივლისი  
1945

წელიწადი მებოშვებ

საბჭოთავ მოსკოვ ალკა ცენტრალური  
კომიტეტის სოციალური მუშაკების

„Октябрь“ еженесячный детский  
журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ  
(на грузинском языке)

რედაქციის მისამართი:

თბილისი, ლენინის ქ. № 28

ტელ. 3-81-85

## შინაარსი

გიაგრი კახეხიძე—სიმღერა ბერიძეზე (ლექსი) . . . . .	1
✓ ვინო ნაკაშიძე—მამა გაახარა (მოთხრობა) . . . . .	2
• არნო ონელი—პებელა (ლექსი) . . . . .	3
• უცნაური შეთქმულე (ნამღვილი ამბავი) . . . . .	3
• იოსებ პავლიაშვილი—ჯუმბერი და შურია (მოთხრობა) . . . . .	4
• ძმები გრიშები—ბაბუა და შვილიშვილი (ზღაპარი, თარგმანი გერმანულიდან) . . . . .	5
• ხიკო ფაშალიშვილი—მანანას ჩიტები (ლექსი) . . . . .	5
• სერგო კლდიაშვილი—არაბული ავაეები	
ა) მკლები	
ბ) ხარი და ბუზი	6
• რევან მარგაიანი—ხათუნას კრუხი (ლექსი) . . . . .	7
• გრიგოლ აბაშიძე—ვინ დიდი და ვინ პატარა (ზღაპარი ლექსად, დასასრული) . . . . .	8
• გიორგი ივანიშვილი—შურიანი ძმები (მოთხრობა) . . . . .	11
• ზორის ქვარაია—მონადირე შერაბი (ლექსი) . . . . .	12
• ნიკოლოზ ჩაჩავა—რატომ ვერ აგებს ჩხიკვი კარგ ბუღეს? (ზღაპარი ლექსად) . . . . .	13
• შალვა თაბუკაშვილი—ხარბაყაყა (წერილი) . . . . .	15
• ინგლისური ხალხური საბავშვო ლექსები (თარგმანი ვახტანგ კელიძისა) . . . . .	15
• ალექსანდრე საჩინოელი—გამოცანები . . . . .	16
• გასართობი (სურათი—გამოცანა და სხვ.) . . . . .	16
• ვანო, შურა და კურდღელი . . . . .	გარგკან. მე-3 გვ.
• გიორგი შატერაშვილი—მკათათვე (ლექსი) . . . . .	გარგკან. მე-4 გვ.

გარეკანის 1-ლ გვერდზე სურათი „ზიქუნა თაფთავეებით“, ნახტი შესრულებულია მხატვარ ლადო ავალიანის მიერ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვრების: ლადო ავალიანის, სოსო გაბაშვილის, ნათელა იანქოშვილის, კოტე კიკნაძის, სვეტირიან კეცხოველის, სვეტირიან მაისაშვილის, დავით ნაცვლიშვილისა და სხვ. მიერ.

209/100



ს ი მ ლ ე რ ა ბ ე რ ი ა ზ ე

ევაილების ცეცხლის შუქი  
 ლაქვარდისკენ მტრედებს მიაქვთ,  
 ური უბდეთ, ური უბდეთ,  
 რა ტკბილი ხმა მოაქვს ნიავს!  
 ური უბდეთ, რა ხალისით  
 მოდუღუნებს სუფთა მტკვარი!  
 ური უბდეთ, ბერიაზე  
 მღერის ტკბილად მთა და ბარი.  
 ჩვენი დიდი აღტაცებაც  
 მთის და ბარის ღებნას ერთვის,  
 მას ვუძღვროთ, ვინც დაგვიცვას,<sup>12</sup>  
 კვლავ იბრძვის და ზრუნავს ჩვენთვის;

ვინც კეთილის უსვი თესლი  
 სამშობლოში უხვად ფანტა,  
 ჩვენ სასახლე აგვიშენა  
 და მზის ფერით მოგვიხატა.  
 ევაილების ცეცხლის შუქი  
 ლაქვარდისკენ მტრედებს მიაქვთ,  
 ური უბდეთ არეპარეს,  
 ამღვრებულ ქვეყნის ნიავს.  
 რა საერთო ხალისია,  
 რა საამოდ ბრწყინავს დილა!  
 ური უბდეთ, ური უბდეთ,  
 ბერიაზე ვძღვროთ ტკბილად!

გიორგი კახანიძე

## მამა ბასარი

### მოსტროვა

დაღლილი დაბრუნდა საღამოს მამა სამუშაოდან. ოთარეკო მოუთმენ-  
ლად ელოდა მის მოსვლას და კიბეზე მიეკება, მაგრამ შესედა თუ არა,  
მაშინვე ჰკითხა:

— რა იყო, მამა, ავად ხარ?

— დავიღალე, შვილო, ბევრი ვიმუშავე.

მეორე დღეს დილით, როდესაც მამა ადგა, ადგა ოთარეკოც.

— რა ამბავია, შვილო, ასე ადრე რად ადექი? — ჰკითხა დედამ.

— მამას უნდა წავეყვე სამუშაოდ, დაგეხმარო და აღარ დაიღლები, —  
უპასუხა ოთარეკომ და ქუდი დაიხურა.

მამას გაეცინა, აიუვანა ოთარეკო ხელში, აკოცა და უთხრა:

— ჰაი, უჩაღ, ბიჭო, შენ ისე გამა-სარე შენი სიტყვებით, რომ აწი  
აღარ დავიღლები.

ენო ნაკვიძია





# პაპალოა

ქრელ პეპელას გავეკიდე,  
ქრელ პეპელას ვსდღე ბევრი,  
როგორც იქნა დავიჭირე  
ლაპაზი და მშვენიერი!  
ქრელ პეპელას გული მისდის,  
თვალეები აქვს ცრემლით სავსე,  
ერთი კიდევ შემომხედა,  
სინანულით მითხრა ასე:  
„მე ამ წუთას დავიბადე,

ამ წუთსავე ვიწყე ფრენა,  
ყვავილს ვეძებ, მის ნაცვლად კი  
ბიჭი გნახე ამოდენა;  
შენც იხარე, მეც მახარე,  
ნუ, ნუ გინდა ჩემი წყენა!“  
ქრელ პეპელას ნაამბობი  
გულმხურვალე ხეფწნას ჰგავდა...  
წუთის შემდეგ ყვავილებში  
ის ნელნელა დაფრინავდა!

იანო მონღი

## უცნაური მეთევზე

ინდოეთში ცხოვრობდა ვინმე ბრაუნი. მო-  
წინაურებული სპილო ჰყავდა. სპილოს ძლიერ  
უყვარდა ბრაუნის შვილები და ხშირად დაჰ-  
ყვებოდა მათ სასეირნოდ.

ერთხელ ბრაუნს სტუმარი ეწვია. საუბარში  
გაერთნენ. ბოლოს მასპინძელმა უთხრა:—წა-  
მოდი, ვნახოთ, რას აკეთებს ჩემი სპილო.  
სტუმარი დაეთანხმა. გაისეირნეს. ცოტა  
მანძილი რომ გაიარეს, გზიდან მარცხნივ გაუ-  
ხვიეს, გადაკურეს პატარა მიწღორი და მდინა-  
რესთან მივიდნენ. მდინარეში ბევრეები ანკე-  
სებით თევზებს იჭერდნენ, სპილოსაც ანკესი  
გჭირა ხორთუმი და ტივტივას მისჩერებოდა:  
აბა, როდის მოეკიდება თევზიო. აი, შეირ-

ბა ტივტივი, მაგრამ სპილო არ ჩქარობდა, უც-  
დიდა, როდის ჩაიმალებოდა წყალში იგი. ეს  
მომენტიც მალე დადგა. სპილომ უცბად ასწია  
ხორთუმი და ვეებერთელა თევზი ამოათრია.  
ბრაუნის ცელქმა ბიჭმა სასწრაფოდ მოხსნა  
თევზი, მაგრამ ანკესზე ჭია არ დაავო. სპილო  
იდგა და უცდიდა. ბოლოს სპილომ ხორთუ-  
მით აიღო ჭიებიანი კოლოფი და ბიჭს წინ  
დაუდგია... როდესაც ანკესზე ჭია დაუგეს,  
კმაყოფილი სპილო მივიდა ნაპირთან, გადააგ-  
დო ანკესი მდინარეში და მიამტერდა ტივ-  
ტივას, რომ კვლავ ამოეთრია თევზი.

ბრაუნის სტუმარი გაოცებული მისჩერებო-  
და უცნაურ „მეთევზს“.



ნახტი კობი კიკნაძის

## ჯუმბერი და მურია

მოთხრობა

— ნეტავი! მეც დიდი ვიყო და ამისთანა ცხენზე ვიჯდე! რარიგ გადაქენებდი! — ინატრა ჯუმბერმა, როცა გზაზე ცხენებით მომავალი წითელარმიელები დაინახა. წითელარმიელებმა რომ ჩაიარეს, ჯუმბერმა თავის განუშორებელ მურიას დაუწყაო თამაში.

— ეს რა კარგი რამე მომაგონდა! ჩემმა მურიამ ისეთი გაქცევა იცის, ცხენი ვერ დაეწევა. ხომ მართალია, მურია?

ძალდი თითქოს ეთანხმებოდა, კუდს აქნევდა.

— მოიცა, მურა, ლაგამს გაეკეთებ, ცხენივით შეგაკაზმავ და შემდეგ გაქენებ და გაქენებ.

ჯუმბერმა სახლიდან თავისი ძველი პალტო და წვრილი თოკები გამოიტანა. პალტო დაკეცა და მურიას ზურგზე დააკრა. თოკის ლაგამიც ამოსდო და სიხარულით წამოიძახა:

— რა კარგი ცხენი მყავს, ახლა კი გავაქენებ!

ჯუმბერი შეჯდა თავის ცხენზე და გამოცდილი მხედარივით გასწორდა წელში.

— აჩუ, ცხენო, აჩუ! — ძალდი ადგილიდან არ იძროდა.

— აჩუ, ცხენო!.. არ მიღიხარ? — ძალს ენა წაეგღო და ჭოშინებდა. ჯუმბერი კი ფიქრობდა: იქნებ ჩემი მურა იმიტომ არ მიღის, ცხენოს რომ ეძახიან. ჯუმბერმა ხმა შეიცვალა.

— აჩუ, მურა! ვასწი! — მაგრამ მურია წასვლის მაგიერ დაწვა. ჯუმბერმა თავისი ცხენი წამოაყენა, ხელმეორედ შეაჯდა ზურგზე და, წასასვლელად რომ მოეზნა, მურია უცებ გაიქცა. ჯუმბერმა თავი ვერ შეიმაგრა და ძირს გადმოკოტრიალდა. მიწაზე გაშლართულმა ჯუმბერმა მურიას ყეფა გაიგონა და სწრაფად წამოდგა. თურმე ეზოში სხვისი ღორები შემოსულიყვნენ.

ჯუმბერი გოაცებული უცქერდა თავის ცხენს, რომელიც, ლაგამამოდებული და ზურგზე პალტოდაკრული, ღორებს ყეფით მისდევდა.

იოსებ პავლიაშვილი



# ბაბუა და შვილიშვილი

ზ. ლავანი

იყო ერთი მოხუცი კაცი, რომელსაც სიბერისაგან თვალები ამღვრებოდა, ყურს დაჰკლებოდა და მუხლებიც დასუსტებოდა. როდესაც მაგიდასთან იჯდა და ჭამდა, კოვხს ვერ იმაგრებდა, ხელი უთრთოდა და ამის გამო ხანდახან წვენი სუფრაზე ეღვრებოდა, ხან კი პირიდანაც გამოედღვრებოდა ხოლმე. მის ვაჟს და რძალს არ მოსწონდათ მისი ასეთი საქციელი და ამიტომ ბუხრის უკან ერთი კუთხე მიუჩინეს, წვნიანს აძლევდნენ თიხის ჯამით და იმასაც ისე ცოტას, რომ არასოდეს არ ყოფენიდა. მოხუცი ხშირად იცინებოდა მაგიდისაკენ და თვალები ცრემლებით ეცემებოდა.

ერთხელ მისმა სუსტმა ხელებმა ვერ დაიმკრეს ჯაჷი, ხელიდან გაუვარდა და გატყდა. ახალგაზრდა რძალი ძალიან გაბრაზდა და მოხუცი გაიკცხა. მოხუცმა არაფერი არ უპასუხა, მხოლოდ ამოიკვნესა.

ამ შემთხვევის შემდეგ რძალმა გროხადღირებული ხის ჯამი შეიძინა და ამით აძლევდა ხოლმე მოხუცს საჭმელს.

ერთხელ, როდესაც ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მაგიდასთან ისხდნენ და სადილს შეეცუოდნენ, მათმა ოთხი წლის ბიჭმა ოთახში პატარა ფიცრები შემოათრია და ერთმანეთზე დამაგრება დაუწყაო.

— რას აკეთებ? — ჰკითხა მამამ.

— მე გობს ვაკეთებ, — უპასუხა ბიჭმა. — ამ გობიდან უნდა სჭამოთ შენ და დედამ, როდესაც მე დიდი გავხდები და თქვენ დაბერდებით.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ერთხანს ერთმანეთს უცქერდნენ. შემდეგ კი ტარალი დაიწყეს. მაშინვე მოხუცი მაგიდასთან დასვეს და იმ დღიდან ყოველთვის თავიანთ გვერდით ასადილებდნენ ხოლმე და აღარც არაფერს ეუბნებოდნენ, თუ ცოტაოდენი წვენი სუფრაზე დაედღვრებოდა.

ძმები გრიშაძე

# მანანას ყიფები

ერთხელ მამამ მანანასთვის ორი ჩიტი მოიყვანა, ის გულჭრელა ლაბუები გალიაში ისხდნენ ვანა! სიხარულით მიეგება, ჩამოართვა საჩუქარი, და ტურტულით აივანზე გამოიჭრა ანაჩქარი, დაუშაბა, მოიწვია ნუნუ, ცირა, აეთო, თინა და მათ თავის ჩიტუნებზე აღტაცებით ეტიტინა! რა ხალისით, რა აღერსით შემოარტყეს ჩიტებს რკალი: ზოგი საჭმელს სთავაზობდა, ზოგს მოჰქონდა ქიჭით წყალი! ჩიტები კი სევდიანად ისხდნენ ჩუმად, ვანაბული... ეჰ, ასეა, ტყვეობაში ვაიხარებეს ვანა გული?! მეორე დღეს ადრიაანად მანანამ რომ გაიღვიძა, სთქვა: მოვალხენ ჩიტუნებსო, გულში მამა დაიფიცა! მიიბინა ვალიასთან და აღერსით შესწორულა: — რა ვაჭუბებო, მეგობრებო, შენ, ლაბუა! შენ, ფუნჩულა! იქნებ დედა მოგენატრათ, — მშობლიური ტყე და ველი? რად დალონდით, აჰ რა ნახეთ სანადვლო და გულდამწყველი? — ამ ვალიამ მოგვიღუნა ჩვენ ეს გული და ეს ფრთები; ვთხოვეთ ვაგვიშვა დედაჩვენთან, აგრემც დედას გავზრდები! ამ მუღარამ ბავშვის გული სიბრალულით აათრთოლა, და გაულო ჩიტებს კარი, თანაც კონცა ვაყოლა!

სიმონ ვაშალიშვილი

# არაბული ი ბა ვე ზი

ნახატი სვეტიცხოველის მონასტრისა



## მ გ რ ე ბ ი

მგლებმა დაინახეს, რომ წელით სავსე ორმოში დასაღებობად ედო ხარის ტუავი. მისი შუქმა მოიწადინეს, მაგრამ წვალი ღრმა იყო და ტუავს ვერ დანწვდნენ. მაშინ ერთმა მკვლამ სთქვა:

— მოდიოთ ეს წვალი სულ შევსვით, ორმო ამოძრება და ტუავიც ჩვენი იქნება.

მკვლემმა რჩევა მოიწონეს, წვალს დაეწაფნენ და იმდენი დალიეს, რომ გაიბურნენ, მუცელი გაუსკდათ და დაისოცნენ.

ნახატი ნინო ფოფხაძისა



## ხარი და ბუზი

ხარს რქასე ბუზი დაავდა, იფიქრა დაეპძიმო და უთხრა:

— თუ ძალიან მძიმედ გეწვევები, მითხარი და გავშორდებიო.

ხარს გაეცინა და უპასუხა:

— არც შენი დაფრენა მიკრძეხია და ვერც შენს აფრენას გავიკებო.

საგარო კლიაშვილი





## ხათუნას კრუხი

ბებოს კრუხი ჰყავს ხატულა,  
კრუხს დასდევს ბევრი წიწილი,  
გახარებული ხათუნა  
თავს დასტრიალებს სიცილით.  
ხან საკენკს უყრის წიწილებს.  
და ხანაც ვალერსება,  
როცა წიწილა იწივლებს,  
თვალეზი ცრემლით ვესება!

თან ასე ვტყვის პატარებს:  
—ნუ წივით, გენაცვალებით,  
ქორს არსად გავაჟიანებ  
თავისი ბასრი ბრჭყალებით!  
ბებოს კრუხი ჰყავს ხატულა,  
კრუხს დასდევს ბევრი წიწილი,  
გახარებული ხათუნა  
უცქერს და კვდება სიცილით.  
ჩაპაზ მაჩიანი



გადმოვიარა რაშიდან,  
სანამ დაეცემოდა,  
სანამ შხარბეკს ვაშლიდა,  
გაუფითორდა სახე და  
ბიჭმა მის ჩრდილს დახედა,  
რამოდენა რამ იყო  
მთიდან მთამდე გაწედილი,  
მთისოდენა მოჩანდა  
ბუმბერაზის ანტილილი.  
გულგამსკდარმა ბიჭუნამ  
შიშით ზირი იბრუნა,  
აბა, რას უყურებდა,  
აბა, რაღას იცდიდა.  
ასწია და ისკუპა  
ბუმბერაზის კისრიდან.  
იქით ბიჭი დაეცა,  
აქეთ ბიჭის ამყვანი,  
სათავური ქვეს მოხედა,  
მოადინა ბრაგვანი,  
ცალი შხარე შეენკრა,  
გატყდა რკინის საყანი.  
თავბრუდასმულ თავუნას  
დაუფარდა ტომარა,  
თხილმა ძირს გაფანტულმა  
ველ-მინდორი მოფარა.  
მიმოიბნა თხილი და,  
როგორც ბნელი თხრილიდან,  
ნაჭუჭიდან ამოძვრა  
ქიანკველა ქაღილით:  
— „მე თქვენთვისაც მოვიცლი,  
რაკი ეჭამე სადილი!  
ახლაე თუ არ აღეჭით,  
თქვენს ზურგებზე გადავივლი“, —  
ესა სთქვა და ამაღლდა  
გრძელ ფეხებზე შემდგარი,  
ფეხზე დადგენ: ბიჭუნა,  
თავგი, ცხენი, მხედარი,  
ერთმანეთს შესტირიან:  
— „დავილუპეთ ეგ არი!  
მაგას ვინ გაღურჩება,  
თავს ვუშველოთ საჩქაროდ,  
ან ღრუბლებში ავფრინდეთ,  
ან ქვესკნელი ვავთხაროთ!“ —  
და მოუსვენს მაშინვე,  
მუხლი ჰქონდათ მაგარი,  
ქიანკველა მისძახის:

— „ხომ არ გინდათ მაყბობა,  
ხომ არ გინდათ თიხლი და  
ერთი ციკქნა შაქარი!“ —  
ქიანკველა იცინის,  
მიწას გააქვს ზანზარი.

—:—

იცინა და იცინა,  
დადგა წასელის სათითც,  
მუხუდოსკენ მიბრუნდა  
ღარბისლად, ტატიოთ,  
არც ურემზე დაუდო,  
არც წაიღო მანქანით,  
ქრელ ჟურტანზე შეიგდო  
ოფლის ღვრით და ქაქანით,  
სხეების გასაკვირვებლად,  
უტომროდ და უგულოდ,  
წელის წყვეტით წაიღო  
პაწაწინა მუხუდო!  
პაწაწინა რად იყო,  
ძლივს სწვდებოდა პაწარი,  
წელში სწყვეტდა ბუმბერაზს  
ტვირთი უხარმასარი,  
მიღის ხრამზეც, ნაპარალზეც,  
მისთვის ყველგან ხილია,  
მიღის, კვებით იძახის:  
— „მე რომ ტვირთი შეიღია,  
მას ჩემს მტრი ვინ ასწევს,  
ჩემზე სმეჯერ დიდია!“





# უკონანი კეპუი

მოთხრობა

ერთ სოფელში ორი მძა ცხოვრობდა. ერთს თანდილას ეძახდნენ, მეორეს—აუთანდილას.

მშები ერთი-მეორის ჯიბრით მიიდან კარეთ არ გადიოდნენ და სოფელში იმთსე ღირბი ბრავინ იყო.

— უკვე დაიწყო სიცივე, ბუსარი ნამქრალია, წადი ტუეში, შემა მოიტახე,—უთხრა ერთ დღეს თანდილამ აუთანდილას.

— შენ რაღა უნდა აკეთო სასლში, თუ ასეა, ორიგენი წავიდე, — მიუტო აუთანდილამ.

როგორც იყო შეთანხმდნენ და ტუეში წავიდნენ.

გზაში ერთ მწლე ბატს წააწუნდნენ.

— დღეს ეს საშოვარიც გვეყოფა, შემაზე სვალ წავიდე, — სთქვენ მშებმა და ბატი წინ გამოიკდეს.

შინ რომ მივიდნენ, ბატი კანაწილეს: მარცხენა მხარე თანდილას ერგო, მარჯვენა—აუთანდილას. საქმელი კი, დღეებმომშებთ, რიკრიკობით უნდა დავუბრათ.

თანდილა საკენეს უურიდა ბატს, აკვირდებოდა და ყვეენებოდა, თითქოს აუთანდილას მხარე უფრო სუქდებოდა.

აუთანდილას კი, ზირიქით, ეგონა,



თითქოს თანდილას მხარე მეტად სუქდებოდა.

— მოდი, გავცვალოთ ბატის გვერდები, — უთხრა თანდილამ აუთანდილას. აუთანდილა სინარულით დასთანხმდა.

თანდილა საკენეს უურიდა ბატს, აკვირდებოდა და ყვეენებოდა, თითქოს აუთანდილას მხარე უფრო სუქდებოდა.

აუთანდილას კი, ზირიქით, ეგონა, თითქოს თანდილას მხარე მეტად სუქდებოდა.

— მოდი, გავცვალოთ ბატის გვერდები, — უთხრა აუთანდილამ თანდილას. თანდილა სინარულით დასთან-

სმდებოდა, მაგრამ შეამჩნია, რომ ბატს  
ავთანდილას კუთვნილი ფეხი ნატკე-  
ნი ჰქონდა და კოჭლობდა.

— ჯერ ცოტა დავიცადოთ. — უთ-  
სნა თანდილამ ძმას. იმავე დღეს, რო-  
ცა ავთანდილას ეძინა, თანდილამ  
ღურსმანი მოაგებნა, ბატი დაიჭირა  
და შეორე ფეხიც დაუკოჭლა.

ამის შემდეგ მშები ადვილად შე-  
თანხმდნენ ბატის კვერდების სელას-  
ლა გადაცვლასე...

— რაძენიც მეტი საკენკი დაუ-  
კარე, იმდენჯერ ავთანდილას მხარე  
უფრო გასუქდა! — სთქვა თანდილამ  
და ბატს ერთ კვირას არაფერი აჭამა.

— მე ვაჭამო და თანდილას მხარე  
გასუქდეს?! — სთქვა ავთანდილამ  
და ბატის საკენკი თაროში გადაძალა.

ბატმა თორმეტი დღეს ვაუპლო  
შიმშილს, შემდეგ კი ფეხები ვაფ-  
სიკა და თქვენი ჭირი წაიღო.

გიორგი ივანიშვილი



## მონადირე მერაბი

ვარდის ბუნქთან ჩასაფრულან  
მერაბი და ყურშა მისი,  
ამ დილას რომ გაიარეს  
სანადირო საშხადისი!  
ყურშამ კარგად ისაუზმა,  
ეთამაშა კიდევ ფისოს,  
შიოიარა მთელი ეზო:  
ლობესთან ხომ არვინ ზისო?!  
მერაბმა კი მაგიდაზე  
თოფს დახედა მეგობრულად:  
ჯერ ჩახაზი გაუსინჯა,  
გაუწმინდა მერე ლულა.  
საცობები დასკრა დანით,  
ეს ხომ მისი ტყვიებია?!  
— თუ დღეს რამე არ მოკვალი,  
ბიჭი არა მქვიებია!  
...ბელურები დაინახა,  
არც აცხელა, არც აცივა.  
გაისროლა... მაგრამ «ტყვიამ»  
ნიშანს ვეღარ მიაღწია.  
გული დასწყდა მონადირეს,  
არ ელოდა ამგვარ სურათს,  
ატირდა და სახლისაკენ  
დარცხვენილი გაეშურა.

გორის ვეპარია



# რატომ ვერ აგებს ჩხიკვი კარგ ბუდეს?



## ზღაპარი

ჩხიკვი თურმე არასოდეს არ აგებდა გამძლე ბუდეს, დააწყობდა ფიჩხებს ერთად და ზედ ბარტყებს გამოსჩყვდა. მოუბერია ერთხელ ქარმა, ბუდე სულ მთლად ვადმოყარა. მოკუნტულდა უცებ კატა და ბარტყები გადაეკლავა. ტირის ჩხიკვი, დღე-ღამე ტირის,



ნახატები სეფიზან კიტხოველისა



სურს მოშორდეს ვასაჭირი. უნდა კარგი ბუდე ჰქონდეს, არ დაენგრეს არასოდეს. თავის ბუდე ფარღალა სურს შესცვლოს გამძლე ბუდით. უნდა, მაგრამ... ვერ აიგებს, არც კოდნა აქვს და არც ძალა. გადაწყვიტა სთხოვოს ფრთოსნებს: მერცხაოს, ჟივთავს და კოდალას. — შემასწავლეთ, დამეხმარეთ, რომ ავაგო ბუდე ბარემ, მეც ვცხოვრობდე, შემარჩეს შვილი, ამცდეს ვიში და ტირილი. — დატრიალდნენ, დაფაკურდნენ, რომ აუგონ გამძლე ბუდე: ქარს ართმევენ ბუმბულს, ფთილას, აწებებენ ბუდეს ფრთხილად. თივის, შტოს და ფოთოლს გამხმარს ფრთოსანთ გუნდი ბუდეს ახმარს. ჩხიკვი იქვე შტოზე დაჯდა, უცქეროდა შრომას, გარჯას. უცებ გაჰკრა ცას კამარა,



შეუძახა:—გეყოთ, კმარა!  
სულ ეს არის? გინდათ, ახლა  
თქვენც ავიგებთ ბინას ახალს.  
ავიშენებ ბუდეს ყველგან,  
უფრო უკეთ, ვიდრე თქვენ გაქეთ.  
ახლა მარტოს დამაცალიეთ,  
არ მჭირდება თქვენი ძალა.  
გაეხარადა ყველა ფრთოსანს—

მერცხალს,  
ვივთავს და  
კოდალას.

—რა სჯობია, თუკი მარტო  
შესძლებ ბინა გაიმართო.  
ესა სთქვეს და ვაჰკრეს ფრთები,  
ჩხიკვს დაშორდნენ ფრინველები.  
დაფაკურდა ჩხიკვი ძაღზე,  
იწყო ფრენა გარიგრაფზე.  
ოფლი მოსდის, მაგრამ რა ჰქნას,  
ვერ მოაბა თავი საქმეს.  
აქეთ ეცა, იქით ეცა,  
როცა კარგად დაიღალა,  
დაუძახა ისევ ფრთოსნებს—

მერცხალს,  
ვივთავს და  
კოდალას.

—დამეხმარეთ ისევ ისე,  
ვერ ვისწავლე შრომა მყისვე  
და ვერ ვაზნდი ასე ჩქარა  
მე ოსტატი თქვენიდანა.  
ეს უთხრა და დაფაკურდნენ,  
დაუსრულონ სწრაფად ბუდე,  
რომ მოიგონ მოამხის გული,  
მოაქეთ ჩაღა და ბუმბული,  
აწებებენ თივას, ფთილას,  
აშენებენ ბუდეს ფრთხილად.  
ჩხიკვი უფრო გადიდგულდა,  
დახმარება აღარ უნდა.  
თვით აივებს ბინას ახალს  
და ფრინველებს შემოსძახა:

—ავიშენებ ისეთ სახლკარს,  
რომ ვერ შეხვდეთ ვერსად  
ვიმუშავებ დღესაც, ხვალაც,  
არ მჭირდება თქვენი ძალა.  
რა თქმა უნდა, გაეხარადა

მერცხალს,  
ვივთავს და  
კოდალას.

—თუკი შესძლებ მარტოდმარტომ  
კარგი ბინა გაიმართო...  
მაშ წაეალით...—და ვაჰკრეს ფრთები,  
ჩხიკვს დაშორდნენ ფრინველები.  
იტრიალა ჩხიკვა ბევრი,  
ვერ გააწყო ვერაფერი.  
ოფლი მოსდის, მაგრამ რა ჰქნას,  
ვერ მოაბა თავის საქმეს.  
აქეთ ეცა, იქით ეცა,  
როცა ძაღზე დაიღალა,  
დაუძახა ისევ ფრთოსნებს—


მერცხალს,  
ვივთავს და  
კოდალას.

მაგრამ ფრთოსნებს არ სცალიათ,  
ჩხიკვზე ყველა გამწყარალია.

ნიკოლოზ ჩაჩავა



# ხარბაყაყა



ჩრდილოეთ ამერიკაში არის უხარმახარი ბაყაყი, რომელსაც ბაყაყი-ხარი ჰქვია, ანუ ხარბაყაყა. საშინელი ღორმუცელაა იგი და თან თავხედი.

აგერ მდინარის პირას კრუხია თავის წიწილებით. უცებ ამოხტა წყლიდან რალაცა, სტაცა პირი ერთ-ერთ წიწილას და, ვიდრე კრუხი მიეშველებოდა, ნადავლიანად ჩაიმალა წყალში.

რამ მოიტაცა წიწილა? — ხარბაყაყამ, რომელიც უთვალთვალებს საბილოს, დაიკერს და მდინარის ფსკერზე მიიჩრთმევს. დისახლისებს გული აქვთ გაწყალებული ამ ბაყაყისაგან: ხან რას მოიტაცებს და ხან რას — წიწილას, იხვის ან ბატის ქუკს.

ხარბაყაყა სიგრძით 20 სანტიმეტრია და მგელიც, წონით კი 600 გრამს.

ხარბაყაყებმა ძალიან ხმაშლილი ყიყინი იციან და ვაი იმათი ბრალი, ვინც იმ მდინარის მახლობლად ცხოვრობს, სადაც ბლომად არიან ხარბაყაყები: მათი ყიყინი არც ძილის, არც დასვენების საშუალებას არ აძლევს ადამიანს.

თითქმის ხარბაყაყას ოდენაა რქიანაც — მგელად ლამაზი ბაყაყი, რომელსაც რქები აქვს, როგორც პატარა ხმოს, მაგრამ კი არ ირქინება.

რქიანაც ამერიკაში ცხოვრობს. ზურგზე მას ძელოს ჯავშანი აქვს გადაყოლებული. პირს რომ დააღებს; მთელი წიწილა ჩაეტევა პირში. ამერიკელ ბავშვებს სრულიად არ ეშინიათ მისი.

ალა თაბაქაშვილი

მამდეა. მისი მსუქანი გვერდები ძალიან გემრიელ საქმელად ითვლებოდა და ამიტომ ხშირად ნადირობენ ამ ბაყაყზე.

— ხარბაყაყაზე სანადიროდ მივიღივარ, — იტყვის მონადირე, აიღებს საფანტით გატენილ თოფს და გასწევს მდინარისაკენ, რომ დახოცოს მსუქანი ხარბაყაყები.

## ინგლისური ხაღხური საბავშვო ლექსები

1. წვიმავ, წვიმავ, წაღი მალე, ნუ გეასველებ, გაგვეცალე! ჯექს და თომას თამაში სურთ, დღეს ნუ მოხვალ, მოდი ხვალე.
2. კაცი შემომხვდა და შემეკითხა: — რამდენ მარწყვს დაჰკრეფ შენ ზღვის სიღრმეში? მივხედი, რომ მცდიდა, მყისვე მივუგე: — რამდენ ქაშაყსაც დაიკრ ტყეში.

3. პატარა ჯეკი ვეროდეს ველარ გაივლის სწორადა. ეს როგორ უნდა გჯეროდეთ? ასე სად დადის ან რადა? საცა არ უნდა წავიდეს, თავის ცხვირს მისდევს ყველგანა, და ამის შემდეგ, ბევრგებო, სწორად გაივლის ის განა?

ინგლისურიდან თარგმნა 3. კ — ემ.

# ქოჩე

(შედგენილი ალექსანდრე საჩინოელის მიერ)

1. ტყეებსა და ჯაგანარებში  
დაეძებენ ბავშვები,  
ზოგიერთში კვერცხებსა,  
ზოგიერთში—ბარტყები.  
(მშნიღ ვაჟაყ)
2. იგი ჭკუის ჰატონია  
და ბუნების ბატონია.  
(აგეაგეა)
3. ვისაც აკლია იგი—  
იმასთან გმართებს რიდი.  
(ამამამა)
4. ჰაწაწინა მწერი—  
შალეულის ძტერია.  
(ამაყყყ)
5. უვავილთ მეფეს ეძახიან,  
ლურჯი ფერით არ ჰგავს იას,  
მას ბულბული აღტაცებით  
ტკბილად უძღვრს „ტია-ტიას“!  
(ამაყყ)



სურათი—გამოცანა

ბავშვებო! კარგად დააკვირდით ამ სურათს  
და მონახეთ ლომი.

რომელ ასოს რა ციფრი უნდა მივუწეროთ,  
რომ მივიღოთ საქართველოს ერთერთი ცნო-  
ბილი ქალაქის სახელი?

# კოხმსა





# ვანო, მურა და კურღლედი



1.

ამ ბიჭუნას თქვენ არ იცნობთ?  
მას სახელად ჰქვია ვანო,  
სანადიროდ ეშაადება,  
ღეკვიც თან სურს წაიყვანოს.  
ხედავთ? თოფი ხელთ უჭირავს,  
ვაუკაცს უნდა დაემგვანოს.



2.

სათათბიროდ მოიწვია  
ღუტუ, იხვი, კობჭა მურა,  
ძალზე ბევრი იტრაბახა,  
ინდაურსაც გაეხუმრა,  
თოფი მხარზე გადაიკლა,  
სანადიროდ გაეშურა.



3.

მიღის, მღერის ჩვენი ვანო,  
თვალი ფართოდ გაუღია,  
ბურკებოსკენ გაუხვია,  
რალაც თეთრად შეამჩნია.  
— აბა, მურა, მარჯვედ, მარჯვედ,  
არ ავაცდენ შუბლში ტყვიას!



4.

...და კურღლეღმა ეშმაკურად  
უღვაშებში ჩაიცინა,  
ადგილიდან არ დაიძრა,  
ორთავ ძალზე შეამჩნა,  
მწევარსა და მონადირეს  
ნადირობა გაუწილა!

## მკათათვე

წამოცხა, დადგა მკათათვე,  
 შრიანებს უანა სამკალი,  
 გზებზე ეიუნა გაისმის,  
 მზის სხივზე ელავს ნამკალი.

გაისმის ურმის ჭრილი,  
 გრგვინავენ კომბანები;  
 ცვივა თავთუნის მარცვალი,  
 ცან სწვდება ნამჯის ზეინები.

ერთვის „ზანუნას“ ძახილი  
 მოხუცთა „ჭეკა-ოკასა“,  
 კალოები და საბძლები  
 ოქროს სსივებმა მოკანმა.

ველს მოსდებია სოფელი,  
 ზრომაბს დიდი და ზატარა,  
 ეველას თვალები უბრუნებენ,  
 ეველა მზის შუქით გამთბარა.

შხიაც აქ არის... ნათელა  
 მხარში უდგება ავთანდილს,  
 რომ არ დაჰკარგოს ქვეუნამ,  
 ოქროს არცერთი თავთავი!

გიორგი შაბუაშვილი

